ხაშურის მოამბე

№40(321) 29 ნოემბერი, ორშაბათი, 2021 წელი

ახლადარჩეული მერი უფლებამოსილების შესრულებას შეუდგა

გასულ კვირის ბოლოს, ხაშურის მუნიციპალიტეტის ახლადარჩეული მერი თენგიზ ჩიტიაშვილი მერის უფლებამოსილების შესრულებას შეუდგა. ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების მეორე ტურის შემდეგ, რომელიც 30 ოქტომბერს გაიმართა, მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე, უფლებამოსილების განხორციელება მხოლოდ ცენტრალური საარჩევნო კომისიის საბოლოო დასკვნის გამოტანის შემდეგ ხდება. არჩევნების დღის შემდგომი სამკვირიანი ინტერვალიც სწორედ ამის შედეგია.

ახლადარჩეული მერი, პირველ დღეს, მერიის სამსახურების ხელმძღვანელებს საქართველოს პარლამენტის წევრმა, ხაშურის მაჟორიტარმა დეპუტატმა ზაალ დუგლაძემ წარუდგინა.

შეხვედრაზე თენგიზ ჩიტიაშვილმა ისაუბრა იმ გამოწვევებზე, რომელიც, დღეისათვის, ჩვენი მუნიციპალიტეტის წინაშე დგას. საუბარი შეეხო იმ პროექტებს და პროგრამებსაც, რომელთა განხორციელებაც ხაშურში იგეგმება.

რაც შეეხება ახლადმოწვეული საკრებულოს პირველ სხდომას, იგი ამ კვირაში (სავარაუდოდ 3 დეკემბერს) გაიმართება. მკითხველს შევახსენებთ, რომ სხდომაზე იქნებიან არჩეული საკრებულოს თავმჯდომარე, მოადგილეები და სხვადასხვა კომისიის ხელმძღვანელები. ამავე სხდომაზე გაირკვევა თუ რამდენი ფრაქცია იფუნქციონირებს საკრებულოში და ვინ იქნებიან ამ ფრაქციების თავმჯდომარეები და წევრები.

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში გამარჯვებულ მერებს შეხვდა

მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ შეხვედრას მერებთან ერთად რეგიონების სახელმწიფო რწმუნებულები ესწრებოდნენ.

ირაკლი ღარიბაშვილმა მუნიციპალიტეტების მერებს ცენტრალური მთავრობის მაქსიმალური მხარდაჭერა აღუთქვა, რათა ის პროექტები და ინიციატივები, რომლებზეც საუბარი იყო წინასაარჩევნო კამპანიისას და მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანია, მაქსიმალურად მოკლე ვადაში განხორციელდეს.

ირაკლი ღარიბაშვილმა სახელმწიფო რწმუნებულებს მერებთან აქტიური კოორდინაცია დაავალა და მერებს მოუწოდა, მჭიდრო კომუნიკაცია ჰქონდეთ მოსახლეობასთან, რათა მაქსიმალურად იყვნენ ინფორმირებული მათი საჭიროებებისა და გამოწვევების შესახებ და ყველა პრობლემა მოქალაქეებს დროულად და ეფექტურად გადაუჭრან.

პრემიერმა არჩეულ მერებს კიდევ ერთხელ დაუდასტურა ცენტრალური მთავრობის მზადყოფნა, ჩაერთოს მოსახლეობისთვის პრიორიტეტული ნებისმიერი საკითხის გადაჭრაში.

- კოვიდ -19 -

რეგულაციები, რომელიც 1-ლი დეკემბრიდან იმოქმედებს

1-ლი დეკემბრიდან რესტორნებს მუშაობაზე საათობრივი შეზღუდვა მოეხსნებათ, კინოთეატრებში, თეატრებსა და ოპერაში მაყურებლის დასაშვები რაოდენობა 30-დან 50%-მდე გაიზრდება, - აღნიშნული გადაწყვეტილებები უწყებათაშორისმა საკოორდინაციო საბჭომ დღევანდელ სხდომაზე მიიღო, რომელიც პრემიერ-მინისტრ ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით, მთავრობის ადმინისტრაციაში გაიმართა.

რესტორნებში სტუმრების რაოდენობასთან დაკავშირებით მოქმედი შეზღუდვა ამ ეტაპზე ძალაში რჩება და აღნიშნული რეგულაციის შემსუბუქებაზე საკოორდინაციო საბჭო ეპიდემიოლოგიური ვითარების ანალიზის საფუძველზე იმსჯელებს.

ამასთან, საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოში ვაქცინირებული საქართველოს მოქალაქე, რომელიც ქვეყანაში სახმელეთო საზღვრით ბრუნდება, PCR-ტესტის წარდგენის ვალდებულებისგან თავისუფლდება.

როგორც ცნობილია, ე.წ „მწვანე პასპორტის“ კონცეფცია 1-ლი დეკემბრიდან ამოქმედდება. პირს მწვანე სტატუსი აქვს, თუ იგი ვაქცინირებულია სრულად, ჩატარებული აქვს 72-საათიანი ვალიდურობის PCR-ტესტი ან 24-საათიანი ვალიდურობის ანტიგენ-ტესტი, ან გადატანილი აქვს კორონავირუსი. საბჭოს გადაწყვეტილებით, კორონავირუსული ინფექციის გადატანის შემთხვევაში, 6-თვიანი შეზღუდვა მოხსნილია. „მწვანე პასპორტის“ მოთხოვნა იმოქმედებს 18 წლის ასაკის ზემოთ მოქალაქეებისთვის;

საკოორდინაციო საბჭოს გადაწყვეტილებით, 1-ლი დეკემბრიდან მოქალაქეები მხოლოდ და მხოლოდ „მწვანე პასპორტის“ პრინციპით შეძლებენ შესვლას: კვების ობიექტების, რესტორნების, კაფეების და ბარების ღია და დახურულ სივრცეებში, კინოთეატრებში, თეატრებში, ოპერაში, საკონცერტო დარბაზებში, გასართობ ცენტრებში, სამორინეებსა და სათამაშო ბიზნესის ობიექტებზე, სპა-ცენტრებში, ფიტნეს-დარბაზებში, სასტუმროებში და ასევე სამთო კურორტების - საბაგირო გზებზე; აღნიშნული მოთხოვნა გავრცელდება ჩამოთვლილი ობიექტების სტუმრებზე. რაც შეეხება საბავშვო-გასართობ ცენტრებს, „მწვანე პასპორტის“ მოთხოვნა იმოქმედებს მხოლოდ 18 წლის ასაკს ზემოთ მოქალაქეებისთვის.

უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭო კიდევ ერთხელ მიმართავს მოქალაქეებს, აქტიურად ჩაერთონ ვაქცინაციის პროცესში, ატარონ პირბადე და დაიცვან სოციალური დისტანცია.



ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია და მუნიციპალიტეტის საკრებულო ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ხაშურის საოლქო-საარჩევნო კომისიის თავმჯდომარე

იმედო ლაცაბიძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

უღრმესი მადლობა ხალხისგან

ხაშურის **შუშის** ქარხნის დასახლების მოსახლეობის მოთხოვნა, არსებული ბიბლიოთეკის აღდგენის თაობაზე, აგვისრულდა. ბიბლიოთეკის შენობას ჩაუტარდა რეაბილიტაცია, დასრულდა სარემონტო სამუშაოები, ინვენტარიზაცია, განახლდა წიგნადი ფონდი და ბიბლიოთეკა, მალე დაიწყებს მკითხველთა მიღებას. ეს ერთადერთი კულტურული დაწესებულებაა დასახლებაში, რომელიც დიდი საჩუქარია, როგორც ბავშვებისთვის, ისე წიგნის მოყვარული მოსახლეობისათვის. გარდა ამის, დასახლებაში გაკეთდა საბავშვო სკვერი, ტრენაჟორებით.

უდიდეს მადლიერებას გამოვხატავთ პარლამენტის დეპუტატის, ხელისუფლების, საბიბლიოთეკო გაერთიანების, კულტურის განყოფილების, მშენებლების მიმართ, რომლებმაც გულთან მიიტანეს ჩვენი თხოვნა და დაგვასაჩუქრეს საბიბლიოთეკო სივრცით, სადაც შესაძლებელი იქნება მრავალი შემოქმედებითი ღონისძიების მოწყობა.

ერთხელ კიდევ დიდ მადლობას გიხდით თანადგომისთვის, ყურადღებისთვის და გისურვებთ მომავალში უამრავ სახალხო და საზოგადო საქმის კეთებას.

ჩვენც, მინის ტარის მოსახლეობა, გვი ულეთ თქვენს გვერდით, რათა მოკრძალებული წვლილი შევიტანოთ ქალაქის წინსვლასა და კეთილდღეობაში.

შუშის ქარხნის დასახლების მცხოვრებლები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,24,25,26,27,28,29 2020 წ. 2021 წ .#1,2,3,4,5,6,7,8,9,10,11,12,13,14,15,16,17,18,19,20,21,22,23,24,25,26,29,31,33, 34,35)

ხაშურის ისტორიისათვის (1693-2020 წწ)

როგორც ზემოთ აღინიშნა, ხაშურში საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოძრაობის ავანგარდში სოციალ-დემოკრატიული პარტია იდგა.

1917 წლის მარტში, რსდმპ ხაშურის ორგანიზაციაში ითვლებოდა 220, ხოლო ივნისისათვის 800 წევრი. რაიონული კომიტეტი დიდ საორგანიზაციო მუშაობას ეწეოდა როგორც ქალაქად, ასევე სოფლად პირველადი პარტიული ორგანიზაციების ჩამოყალიბების და განმტკიცების მიზნით. რაიკომის გადაწყვეტილებით მოეწყო საღამოს კურსები მუშებისა და პარტიის წევრებში პოლიტიკური ცოდნის დონის ასამაღლებლად, გახსნეს პოლიტიკური კლუბი, სადაც იკითხებოდა ლექციები, სოფლად ეწეოდნენ ფართო პროპაგანდისტულ მუშაობას.

რაიკომთან მუშაობდა პროპაგანდისტთა მოსამზადებელი კურსებიც. თავდაპირველად, მასში გაერთიანებული იყო 52 მსმენელი. ცოტა ხნის შემდეგ - უკვე 75 მსმენელი ემზადებოდა პროპაგანდისტად. კურსები მოწყობილი იყო რკინიგზის სასწავლებელში. შემუშავებული ჰქონდათ სპეციალური პროგრამა, რომლის მიხედვითაც მიმდინარეობდა მეცადინეობები. პირველი ლექცია „სოციალიზმის ისტორია“ 5 ივნისს წაიკითხა გიმნაზიის მასწავლებელმა თეიმურაზ ჭუმბურიძემ. კურსებს ხელმძღვანელობდა კომისია, რომელშიც შედიოდნენ თ. კალანდაძე, ნ. თავაძე და ა. გიორგაძე.

სოციალ-დემოკრატიული პარტიის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას ღებულობდნენ ქალებიც. 21 აპრილს მოეწყო რაიონის დასელ ქალთა პირველი დამფუძნებელი კრება, რომელსაც 100-ზე მეტი დელეგატი ესწრებოდა. კრებამ გადაწყვიტა სდმპ ქალთა რაიონული ორგანიზაციის შექმნა. კრების მონაწილეებმა დროებით მთავრობას შემდეგი შინაარსის დეპეშა გაუგზავნა: „მიხაილოვის რაიონის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ქალთა კრება უძღვნის რა სალამს დროებითი რევოლუციონურ მთავრობას, ღრმად დარწმუნებულია, რომ განახლებული რუსეთი, მამაკაცებთან ერთად, ქალებსაც მიანიჭებს მოქალაქეობრივ და პოლიტიკურ უფლებებს“

19 ივლისს ქალთა პარტიული ორგანიზაცია გაერთიანდა რსდმპ ხაშურის რაიონულ ორგანიზაციასთან.

ქალები მნიშვნელოვან მუშაობას ეწეოდნენ პარტიული ორგანიზაციის მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის. 27 მაისს, მათი ინიციატივით, გაიმართა დიდი საღამო წარმოდგენით. შემოსავალი 200 მანეთი შეიტანეს პარტიულ ფონდში.

პარტიული ფონდის გასაძლიერებლად ცალკეული პირებიც იღებდნენ გარკვეულ სახსრებს. მუშამ ვასო გლურჯიძემ 200 მანეთი შესწირა, ხოლო მასწავლებელმა თ. კალანდაძემ 50 და ყოველთვიურად აღუთქვა 25 მანეთი, ვაჭარმა მ. დაბრუნდაშვილმა შესწირა 50 მანეთი და ა.შ.

შემდგომშიც არაერთხელ გაეწია დახმარება სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ადგილობრივ ორგანიზაციას. სადგურ მიხაილოვის პირველი კლასის ბუფეტის მუშა-მოსამსახურეებმა დიმიტრი მორჩილაძემ, ერმილე რევიამ, ამბროსი ძნელაძემ და ბიქტორ თოფურიამ შეაგროვეს 40 მანეთი და შესწირეს ორგანიზაციას.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა საბჭოებს.

1917 წლის აპრილში მოხდა ხაშურის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოების გაერთიანება. „საერთოდ ხსენებული საბჭოები მეტად ენერგიულად მოქმედობენ და განახლებულ ცხოვრებაში მეტი სიფხიზლე, მეტი სიცოცხლე შეაქვთ“ - აღნიშნავდა გაზეთი „ერთობა“.

მუშა-მოსამსახურეები მოითხოვდნენ შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებას. ამ მიზნით აწყობდნენ გამოსვლებს.

ხაშური, ზემო ქართლში რევოლუციური მოძრაობის ცენტრს წარმოდგენდა, თუმცა იყო ერთი შემაფერხებელი მიზეზი – ცხადად ჩამოყალიბებულ მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები ვერ ახერხებდნენ ერთიან მუშაობას, რაც აფერხებდა რევოლუციური მოძრაობის შემდგომ გაღრმავებას.

გაზეთი „ერთობა“ 1917 წელს წერდა: „ხაშურს დღეს პირველი ადგილი უკავია ჩვენს მხარეში თავისუფლების განმტკიცების საქმეში. ის მოძრაობის ცენტრია მთელს ქართლში.

აქაც დაარსეს მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოები. აქაც მოეწყო აღმასრულებელი კომიტეტი და სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიების ბიუროები და მოქალაქენი რევოლუციონურ ბრძოლაში ჩაებნენ. რამდენიმე თვის განმავლობაში საბჭოები ცალ-ცალკე მოქმედებდნენ, ამის წყალობით კი ძალები იქსაქსებოდნენ“.

29 ივნისს ხაშურში შედგა ხაშური-სურამი-ბორჯომის რაიონების მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების გაერთიანებული კრება, რომელზეც გადაწყდა „ყველა საბჭოების შეერთება“, აღმასრულებელი კომიტეტისა და პრეზიდიუმის არჩევნები.

4 და 7 ივლისს კვლავ გაიმართა საბჭოების კრება, რომელმაც განიხილა „ბევრი ფრიად სერიოზული საკითხები“. პრეზიდიუმის თავმჯდომარედ არჩეული იქნა ნიკიფორე იმნაიშვილი.

„შეერთებული საბჭოები მიხაილოვოს რაიონის მუშებისა, ჯარისკაცთა და გლეხების დეპუტატებისა ისახავს მიზნად რევოლუციის გაღრმავებას, დემოკრატიული რესპუბლიკის დასამყარებლად და კონტრრევოლუციის წინააღმდეგ ბრძოლას; აგრეთვე თავს უყრის თავის გარშემო მთელი რაიონის მუშებს, ჯარს და გლეხებს და ამ შეერთებული ძალით კი ხელს შეუწყობს რევოლუციის განმტკიცებას“.

1917 წლის 16 ივლისს, ხაშურში, ფართოდ აღინიშნა 1903 წლის 14 ივლისის გაფიცვის მეთოთხმეტე წლისთავი. ხალხს პირველად მიეცა საშუალება თავისუფლად მიეგო პატივი გაფიცვის დროს დაღუპული მუშებისთვის. ამ მოვლენას გამოეხმაურა გაზეთი „ერთობა“, რომელიც ვრცლად მოგვითხრობს იმ დღეს ხაშურში განვითარებულ მოვლენაზე:

„იშვიათი დღე იყო 16 ივლისი, იშვიათი! – წერს გაზეთი, – მთელი ხაშური დილიდანვე შეუდგა სამგლოვიარო სამზადისს. მთელი კუთხე ამოძრავდა და დახოცილთა წმინდა საფლავებისკენ დაიძრა. დილის ცხრა საათზე გაისმის შაბაშის მძლავრი ხმა. დეპოდან გამოდიან სახეგაკაჟებული მუშები დროშებით და მიეშურებიან დანიშნულ ადგილს – რკინის გზის ბაღში. აქ თავს იყრიან საზოგადოების სხვა წარმომადგენლებიც. აუარებელი დროშები, წითლად გადაპენტილი დროშები!... პროცესია მწყობრათ ეწყობა: წინ მიდის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის დროშა. ამის შემდეგ მუშების ორკესტრი, რკინის გზის სხვა დარგის მოსამსახურენი, მუშები, გლეხობა, მოქალაქენი და სხვანი. ბაზარში პროცესიას შემოუერთდა ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭო დროშებით. ქალთა წრე, გლეხები და მოსწავლე-ახალგაზრდობა. უზარმაზარი პროცესია დაიძვრის იმ ადგილისაკენ, სადაც 1903 წლის 14 ივლისს ხაშურის მშრომელმა ხალხმა თავისი სისხლი დაღვარა კაცობრიობის მომავალი ბედნიერებისათვის. პროცესიას წინ მიუძღვის თფილისის სადგურის რკინის გზის აღმასრულებელი კომიტეტის გვირგვინი – წითელი ლენტებით. პარტიული დროშა ამაყათ ფრიალებს და მოუწოდებს ხალხს ტრიბუნისაკენ. იმ ადგილას, სადაც სისხლი დაიღვარა, აღამრთულია ტრიბუნა. თერთმეტ საათზე, თანახმად ხაშურის რაიონის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხთა დეპუტატების საბჭოების აღმასრულებელ კომიტეტის მიერ შემუშავებულ წესისა, მიტინგს ხსნიან ძველი მუშები – იმ ბრძოლის მონაწილენი დ. ჟდანოვი და ლ. მეტრეველი, რომელნიც მიტინგის თავმჯდომარედ ასახელებენ იმ ბრძოლის გმირს ნიკოლოზ ფერაძეს. ხალხი მხურვალე ტაშით ეგებება თავმჯდომარეს, გაისმის მარსელიოზა. სალაპარაკოდ, ეწერება მრავალი ორატორი, სხვადასხვა პოლიტიკურ პარტიათა და საზოგადოებიდან წარმომადგენელი დელეგატები ეწერება 30 ორატორამდე. ტრიბუნის გარშემო შემომწკრივებულია ოცამდე დროშა. თავმჯდომარის შინაარსიანი სიტყვის შემდეგ, პირველი სიტყვა ეძლევა ამხ. პეტრე მასლოვს, რომელიც საგანგებოდ ჩამოსულიყო ქვიშხეთიდან ამ დღესასწაულზე დასასწრებად და რომელიც მიესალმა მიტინგს მთელი რუსეთის მუშათა, ჯარისკაცთა და გლეხების დეპუტატების ცენტრალური კომიტეტის სახელით და დიდის პატივით იხსენიებს დახოცილ გმირებს. გაისმის ტაშის გრიალი და მარსელიოზა. ამხ. მასლოვს საპატიო თავმჯდომარედ ირჩევს მიტინგი. მასლოვის შემდეგ სიტყვას ამბობენ შემდეგი წარმომადგენლები: თბილისის რკინის გზის მოსამსახურეთა აღმასრულებელი კომიტეტის დელეგატი მაკარა პასკუნოვი, რომელსაც ახლავს თან მეორე დელეგატი ალექსანდრე სიხარულიძე. პასკუნოვი გადასცემს კომიტეტს 50 მანეთს ფულს დახოცილთა ძეგლისათვის; გორის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ორგანიზაციის წარმომადგენელი ძველი რევოლუციონერი ამხანაგი სანდრო კეცხოველი, გორის აღამსრულებელი კომიტეტის წევრი ვანო ქარცივიძე, გორის მუშათა დეპუტატების საბჭოს წარმომადგენელი გ. შინაზაროვი, ბორჯომის რკინის გზის აღამსრულებელი კომიტეტიდან მათე ბოლქვაძე, ბორჯომის ჯარისკაცთა, მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს დელეგატი ბადრიძე, შორაპან-ყვირილის რაიონის მუშების დელეგატი გ. შენგელია, სურამის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის ორგანიზაციიდან ნ. დავითიანცი, მიხაილოვის მოძრაობის ნაწილიდან მემანქანე იორდანოვი, ხაშურის რაიონის ჯარისკაცთა მუშების და გლეხების დეპუტატების საბჭოების აღმასკომის კომიტეტის სახელით ნიკო იმნაიშვილი, ხაშურის რაიონის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის ორგანიზაციიდან. ამხ. კირილე ნინიძე, სოციალ-ფედერალისტთა ორგანიზაციიდან ალ. მდივანი და კ. გაგუა. სურამის ებრაელების სახელით იაკობ ჯინჯიხაშვილი. ბორჯომის შუშის ქარხნიდან კიცენოვსკი. ყარსის გარნიზონის წარმომადგენელი პრაპ. ლევჩენკო, გლეხი სოლომონ ლომიძე, რომელმაც შესწირა ძეგლის ფონდს 100 მანეთი, ადელხანოვის ტყავეულობის ქარხნის მუშა გიგო ბასელაშვილი და ბევრი სხვა. წაკითხული იქნა დეპეშა თფილისის სადგურის რკინიგზის საქონლის სადგურის მუშებისა და ბოლოს სიტყვას იღებს ამხ. პ. მასლოვი, მოუწოდებს ხალხს რევოლუციის გაღრმავებისკენ, მჭიდრო კავშირისაკენ და გადაჭკოცნის იმ ბრძოლიდან გადარჩენილს გმირებს: მეგრელიშვილს, არუთინოვს, მესაბლიშვილს, გუდაძეს, ფერაძეს და ჟდანოვს. თავმჯდომარე ნაშუადღევის 2 საათზე მიტინგს დახურულად აცხადებს და მოუწოდებს ხალხს დემონსტრაციულათ დაბაში გავლას და დახოცილ გმირთა სასაფლაოზე მისვლას და სამოქალაქო პანაშვიდის გადახდას.

მთელი ეს ზღვა ხალხი დროშებით და მუსიკით მწყობრად მიემგზავრება სოფელ ზემო ჭალის სასაფლაოსაკენ, სადაც არიან დასაფლავებულნი ვანო ვეშაპიძე, სიმონ ლომინაშვილი (60 წლის მოხუცი) და დიმიტრი არბოლიშვილი, რომელთა საფლავებს მიუძღვნეს გვირგვინი და გადაუხადეს სამოქალაქო პანაშვიდი. წარმოითქვა მრავალი სიტყვა. აქედან პროცესია გაემგზავრა ხაშურის სასაფლაოზე დასაფლავებულთა სიმონა რიჟამაძის, ვასო ლაბაძის, სონო ტაბატაძის, ისაკა ჩლაიძის, გიორგი კვესაძისა და თოთიბაძის სასაფლაოზე პანაშვიდის გადასახდელად. აქ კი, უკანასკნელად გამოეთხოვა ხალხი დახოცილთა სამარეს და დასდო ფიცი, რომ ყოველთვის ემსახურება განსვენებულთა მიერ დაწყებულ საქმეს და არ უღალატებს საკაცობრიო ბედნიერების ბრწყინვალე იდეალებს“.

19 ივლისს სდმპ ადგილობრივმა კომიტეტმა გადაწყვიტა მოეწყო ყველა სასოფლო საზოგადოებაში პარტიული ორგანიზაციები. ამ საკითხის გადასაწყვეტად არჩეულ იქნა სპეციალური კომისია ი. ყაჭეიშვილის, მ. მარიამიძის, ი. გვარამაძის, მ. ჭყონიას და ნ. სიხარულიძის შემადგენლობით. გადაწყდა ფართო პოლიტიკური მუშაობა გაეჩაღებინათ სოფლებში და ამით მოემზადებინათ ნიადაგი მიმავალი დამფუძნებელი კრების საარჩევნო კამპანიისთვის.

28 ივლისს რკინიგზის საკრებულოს დარბაზში შედგა ხაშურის რაიონის რსდმპ წევრთა საზოგადო კრება, რომელმაც განიხილა ხაშურის რაიონის აღმასრულებელი კომიტეტის მომავალი არჩევნების საკითხი და ამ არჩევნებში სდმპ-ის როლი. აღმასრულებელი კომიტეტის წევრთა რაოდენობა განსაზღვრული იყო 25 წევრით. სოციალ-დემოკრატიული პარტია კრების გადაწყვეტილებით სხვა რევოლუციურ პარტიებს აღმასრულებელ კომიტეტში უთმობდა 10 ადგილს, ხოლო 15 ადგილი ეთმობოდა სდმპ-ს.

კრებას ესწრებოდა პ. მასლოვი, რომელიც მიწვეული იყო „სხვადასხვა საჭირ-ბოროტო საკითხებზე საბაასოდ“

პ. მასლოვმა თანამედროვე მომენტზე, ვრცლად ისაუბრა რუსეთის რევოლუციის გამომწვევ მიზეზებზე, რუსეთის თანამედროვე ეკონომიურსა და პოლიტიკურ მდგომარეობაზე, მოკლედ შეეხო აგრარულ საკითხსაც და „ბოლოს მოუწოდებს ამხანაგებს შეერთებული და ნაყოფიერი მუშაობისაკენ“.

მან „სხვათა შორის.... დაახასიათა ახალი სამინისტროს შემადგენლობა, მოკლედ გააცნო დამსწრეთ თითოეული მინისტრის პიროვნება და თუმცა – თქვა მომხსენებელმა – მინისტრთა უმრავლესობა სოციალისტებია, საიმედო ხალხი, მაგრამ საფრთხეში ჩავარდნილი რუსეთის ხსნა მეტად საძნელოაო“.

ნ. იმნაიშვილი „ვრცლად შეეხო რუსეთის თანამედროვე პოლიტიკურ მდგომარეობას, რევოლუციის აწმყოსა და მომავალს, კონტრრევოლუციურ მოძრაობას საზოგადოდ და მოუწოდა ამხანაგებს შეგნებული მუშაობისაკენ“.

სოფლად აქტიურობდნენ გლეხთა დეპუტატების საბჭოები. „დღიდან გლეხთა საბჭოების დაარსებისა ქართლმა ახალი სიცოცხლე იგრძნო და რევოლუციონურ მოძრაობაში თამამად ჩაება. თუ უწინ მარტო აღმასრულებელი კომიტეტები აწარმოებდნენ ყოველგვარ საქმეებს, დღეს სოფლის კეთილ-დღეობაზე ზრუნვა გლეხთა დეპუტატების საბჭოებმა იკისრეს და ხალხში დიდი ნდობაც მოიპოვეს“.

16 აგვისტოს ხაშურში შედგა რაიონის სასოფლო საზოგადოებების (ასეთი 10 საზოგადოება იყო) გლეხთა დეპუტატების საბჭოების წარმომადგენელთა კრება, რომელმაც განიხილა არაერთი აქტუალური საკითხი, კერძოდ გლეხთა საბჭოების როლი, სასოფლო აღმასრულებელი კომიტეტების რეორგანიზაცია და ახალი არჩევნები, ღალის, მამულების ძალით ჩამორთმევის, ტყით სარგებლობის და ტყეების დაცვის და სასურსათო საკითხები.

კრებამ ყველა ზემოთ ჩამოთვლილ საკითხზე მიიღო რეზოლუცია:

-გლეხთა საბჭოები მსგავსად სხვა რევოლუციური ორგანიზაციები, მტკიცედ იცავენ რევოლუციის ინტერესებს და გმობენ კონტრევოლუციურ გამოსვლებს.

-საჭიროა ადგილებზე აღმასრულებელი კომიტეტების რეორგანიზაცია. არჩევნები უნდა მოხდეს ფარული კენჭის ყრით.

-ღალის მიცემის საკითხი დაეკისროს მომრიგებელ კამერებს, რომელთა დადგენილება სავალდებულო უნდა იყოს ორივე მხარისათვის. კამერების მოწყობის საქმეში აქტიურად მონაწილეობენ საგლეხო საბჭოები.

-„რადგან სოფლად ზოგიერთი არასაიმედო პირები არეულობას ახდენენ და ხალხს ეუბნებიან მიწები თქვენ დაგრჩათ, ჩაიბარეთო და ესკი დიდს არეულობას იწვევს ხალხში, ამიტომ საბჭოებმა საჭიროდ დაინახეს უსასტიკესი ზომების მიღება ყოველგვარი ძალადობის წინააღმდეგ“.

-ტყეებზე თვალ-ყურის დევნება, მასალისა და შეშის განაწილება დაეკისროს, როგორც აღმასრულებელ კომიტეტებს, აგრეთვე საგლეხო საბჭოებს.

-კრებამ საჭიორდ ჩათვალა ზედმეტი ჭირნახულისა და სურსათის სახელმწიფოსთვის გადაცემა.

1917 წლის სექტემბერში ხაშური ქალაქად გადაკეთდა და დაიწყო ქალაქის აღმასრულებელი ორგანოების არჩევნებისთვის მზადება.

19 სექტემბერს შედგა სდმპ ადგილობრივი ორგანიზაციის კომიტეტის სხდომა, რომელმაც მიიღო პრეზიდიუმის მიერ შემუშავებული ხაშურის აღმასრულებელი ორგანოების არჩევნების დებულება. გადაწყდა აგრეთვე, რომ სდმპ არჩევნებში გამოვიდოდა დამოუკიდებლად.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

1818 წლის კამერალური აღწერა და ხაშურის მუნიციპალიტეტი

(გაგრძელება. დასაწაყისი იხ. „ხმ“ #21,22,23,25,26,31,32,34)

ამ ექვსსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხუთდღიური საბატონო მიწა, ხნავს ოთხდღიურს, იღებს 40 კოდ პურს, ხვნა-თესვით იღებს საკმარის წლიურ შემოსავალს.

8. სოსია---------, მისი ცოლი, ვაჟი გიორგი. ეს სამსულიანი ოჯახი ბატონთან მოჯამაგირეობით იღებს სარჩოს.

თავად გიორგი ხიდირბეგოვის გლეხები, რომლებიც არ იყვნენ ნაჩვენები წინა აღწერაში.

ივანე ქუზიაშვილი, მისი ცოლი ,ვაჟი გიორგი, ქალიშვილი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა შიო, მისი ცოლი, ვაჟი მასურა.

ამ 7 სულიან ოჯახს აქვს სახლი, 4დღიური სახნავი საგვარეულო მიწა, ამას გარდა ხნავს ხუთდღიურ საბატონო მიწას ღალით, იღებს 50 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 7სული, 2 სკა ფუტკარი. ხვნა-თესვით იღებს საკმაო წლიურ შემოსავალს.

2. გლახა საბურიძე, მისი ცოლი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმები : იოსები და პეტრე, მათი დედა. ამ ხუთსულიან ოჯახს აქვს სახლი, 7დღიური საგვარეულო მიწა, ხნავს ოთხდღიურს, იღებს 40 კოდ პურს, 1 ცხენი, ხვნა-თესვით აქვს წლიური სარჩო.

3. ბაღდასარ ლომიაშვილი, მისი ცოლი, ვაჟები: არუთინი და სტეფანე, გარდაცვლილი ძმის ნონიას ვაჟი სტეფანე, ქალიშვილი, ბაღდასარის და.

ამ ხუთსულიანი ოჯახის ყველა წევრი ეთნიკურად სომეხია. სარგებლობს ათდღიური საბატონო მიწით, იხდის ღალას, რქოსანი პირუტყვი 4 სული. ხვნა-თესვით აქვს საკმარისი სარჩო.

თავად ხიდირბეგოვის გლეხები, რომლებიც არ იყვნენ ნაჩვენები წინა აღწერით.

1. ივანე ბითაძე, მისი ცოლი, ვაჟები: პეტრე და ბერო, 2 ქალიშვილი. ამ ექვსსულიან ოჯახს აქვს სახლი, ოთხდღიური საბატონო მიწა, გარდა ამისა ხნავს სხვა ბატონის მიწას ღალაზე.

ძველი კამერალური აღწერით თავად ბეგთაბეგოვებთან აღნიშნულები

1. სოსია კვესაძე, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა ბერიკა, მათი დედინაცვალი. ამ სამსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს თავად ხიდირბეგოვის მიწას ღალით.

ძველი აღწერით არ არიან ნაჩვენები თავად ევსტათი აბაშიძესთან

1. გაბრიელ ლომსაძე, მისი ცოლი, ძმა დათია.

ეს სამსულიანი ოჯახი ცხოვრობს ხიზნად, ღალაზე ხნავს სხვადასხვა მფლობელის ოთხდღიურ მიწას, რქოსანი პირუტყვი 5 სული, არის შეძლებული.

ძველი აღწერით არ არიან ნაჩვენები პოდპოლკოვნიკ ჯარიაშვილთან

1 დათუა ფხიკაძე, მისი ცოლი, ქალიშვილი. ამ სამსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს თავად ხიდირბეგოვის 2დღიურ მიწას, ყავს 1 ხარი, იღებს საკმარის წლიურ სარჩოს.

აზნაურ ზურაბ და კუ.....მაღრაძეების გლეხები, რომლებიც არ არიან ნაჩვენები წინა აღწერით.

1. ივანე აბაზაძე, მისი ცოლი, 3 ქალიშვილი, ძმები: გიორგი, სიმონი და შიო, გიორგის ცოლი.

ამ ცხრასულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ხიდირბეგოვების ორდღიურ მიწას ღალაზე, იღებს 20 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 8 სული, 1 ცხენი, ხვნა-თესვით იღებს წლიურ სარჩოს.

შენიშვნა-ეს სოფელი გაშენებულია მდინარე სურამულაზე და წყაროებთან, საკმარისი წყლით. მიწები ეკუთვნით თავად ხიდირბეგიშვილებს, ვარგისია დაახლოებით 350 დღიური, მწირი 100დღიური, ტყე 30დღიური, 1 კოშკი ეკუთვნის ხაზინას, გარდაცვლილი ებრაელის შემდეგ წისქვილი ეკუთვნის ხიდირბეგიშვილებს, მცხოვრებთა მთავარი საქმიანობაა მიწათმოქმედება და სხვა სამუშაოები.

წინა აღწერით ამ სოფელშ ნაჩვენები იყო აზნაურების გარდა საბატონო გლეხები 13 კომლი. ზოგიერთი მათგანი იხდიდა სურსათს თავად ხიდირბეგოვების გლეხებს შორის, ზოგიერთი მათგანი კი დაბეგრილი საერთოდ არ იყო. ახლა კი გარდა ჭირისაგან გარდაცვლილებისა და სხვა ადგილებში გადასახლებულებისა არის 16 კომლი საბატონო გლეხი, რომელთაგან გამოსაღების გადახდა შეუძლიათ დავით და დიმიტრი ხიდირბეგოვების გლეხებს, გარდა ერთი მოსამსახურედ მყოფისა, 4კომლს ხორბალი21 კოდი, ქერი 14 კოდი, თავად გიორგი ხიდირბეგოვის 3 კომლს, ხორბალი 9 კოდი, ქერი 6 კოდი, აზნაურ ზურაბ მაღრაძის 1 კომლს ხორბალი 3 კოდი, ქერი 2 კოდი, თავად ივანე ხიდირბეგოვის 1 კომლს ამდენივე, თავად როსტომ ბეგთაბეგოვის 1 კომლს ამდენივე, თავად ევსტათი აბაშიძის 1 კომლს ამდენივე, პოდპოლკოვნიკ ივანე ჯარიევის 1 კომლს ამდენივე.

სოფელ ხცისში

სოფელ ქარელიდან გადმოსახლებულები თავად ივანე ციციანოვის კუთვნილი ნაწილიდან ახლა კიეკუთვნიან მის ძმას თავად მაიორ ციციანოვს ---------

1. აზნაური გლახა ქურდევანიძე, მისი ცოლი, ვაჟები: იოსები, ბარამი და გიორგი, ძმისშვილები იასე და ქაიხოსრო, მათი და. ამ რვასულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს 15დღიურ საბატონო მიწას ღალის გარეშე, იღებს 180 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი13 სული, 3 ცხენი, ხვნა-თესვით იღებს საკმარის წლიურ სარჩოს.

2.-------ჯიქურაშვილი, ქვრივი, მისი ვაჟი ივანე, ქალიშვილი, მასთან ერთ ოჯახში მისი ვაჟი სიმონი, მისი ცოლი, ქალიშვილი.

ამ ექვსსულიან ოჯახს აქვს სახლი, ათდღიური სახნავი საბატონო მიწა, იხდის ღალას, იღებს 120 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 4 სული, ხვნა-თესვით იღებს საკმარის წლიურ სარჩოს.

3. ნინია ძამანაშვილი, მისი ისი ცოლი, ვაჟები: თევდორე და გაბრიელი, ქალიშვილი, ძმისშვილები: ეფიმი(?) და ანდრო, მათი დედა. ამ რვასულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს 7 დღიურ საბატონო მიწას, რაშიც იხდის ღალას, აგროვებს 80 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 8 სული, ხვნა-თესვით იღებს საკმარის წლიურ სარჩოს.

4. სოსია ლოცულაშვილი, მისი ცოლი, ვაჟი ივანე, ქალიშვილი, მისი ძმა ზურაბი, მას ყავს ცოლი. ამ ექვსსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ხუთდღიური საბატონო მიწას ღალით, იღებს 60 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 5 სული, ხვნა-თესვით იღებს წლიურ სარჩოს.

5. ზაქარია ჩიკურაშვილი(ჯიქურაშვილი?), მისი ცოლი, ქალიშვილი, ძმისშვილი პაატა, მისი ცოლი, ქალიშვილი, მისი დედა.

(ამ შვიდსულიანი ოჯახის შესახებ სხვა მონაცემი არ არის)

6. ტეტია შახკულაშვილი (შაყულაშვილი?), მისი ვაჟი ანდრო, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმები: ბერო და ზურაბი, ბეროს ცოლი, ვაჟი სოსია, მათი დედა. ამ შვიდსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს რვადღიურ საბატონო მიწას, იღებს 100 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 7 სული, ხვნა-თესვით იღებს საკმარის წლიურ სარჩოს.

7. თომა ჯავახგოგილაშვილი, მასთან ერთ ოჯახში მისი ვაჟი ლექსო, მათი დედა. ამ სამსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს რვადღიურ საბატონო მიწას ღალაზე, აგროვებს 100 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 5 სული. 1 ცხენი, ხვნა-თესვით იღებს წლიურ სარჩოს.

8. იოსებ ციცვიძე, მისი ცოლი, ვაჟები: სოსია და ბერო, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმები: ტეტია, თევდორე და ნინია, ტეტიას ცოლი, ნინიას ცოლი, ვაჟი ანდრო, 2 ქალიშვილი.

ამ 12სულიან ოჯახს აქვს სახლი,ხნავს ხუთდღიურ საბატონო მიწას, იღებს 60 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 6 სული, ხვნა-თესვითბიღებს საკმარის წლიურ სარჩოს.

9. ნინია ქებაძე, მისი ცოლი, ვაჟი სოსია, 2 ქალიშვილი, ძმები: ტეტია და სიმონი, მათი დედა.

ამ რვასულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ექვსდღიურ საბატონო მიწას, იღებს 80 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 5 სული. ხვნა-თესვით იღებს წლიურ სარჩოს.

10. ზინობ თავყელიშვილი, მისი ცოლი, 2 ქალიშვილი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა პეტრე, მათი დედა. ამ ექვსსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ხუთდღიურ საბატონო მიწას, იხდის ღალას, იღებს 60 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 5 სული, ხვნა-თესვით აქვს სარჩო.

11. გლახა ტარიელაშვილი, მისი ცოლი, ვაჟი გიორგი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმები: პაპუნა,

იორდანე და ქიტესა, ქიტესას ყავს ცოლი, ძმისშვილი გაბრიელი, მისი დედა.

ამ ცხრასულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ექვსდღიურ საბატონო მიწას, იხდის ღალას, იღებს 80 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 7 სული. ხვნა-თესვით იღებს წლიურ სარჩოს.

12. ზაქარია კუპრაძე, მისი ცოლი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა ნინია, მისი დედა. ამ ოთხსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს სამდღიურ საბატონო მიწას ღალით, იღებს 40 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 2 სული, ხვნა-თესვით იღებს საშუალო წლიურ სარჩოს.

13. იაკობ ჯანჯარაშვილი, მისი ვაჟი პეტრე, ქალიშვილი. ამ სამსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს სამდღიურ საბატონო მიწას ღალაზე, იღებს 40 კოდ პურს.

14. ბერუა დავითაძე, მისი ცოლი, ვაჟი ანდრო, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა სიმონი, მისი ცოლი, ქალიშვილი, ბიძაშვილები: სოსია, გიუნა, სტეფანე და ნინია, მათი დედა. ამ 12სულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს შვიდდღიურ საბატონო მიწას ღალით, იღებს 110 კოდ პურს , რქოსანი პირუტყვი 6 სული. ხვნა-თესვით იღებს საკმარის წლიურ სარჩოს.

15. -------- ჯიქურაშვილი, მისი ცოლი, ვაჟი ესტატე, მსახური ქალი სახლში 2.(?). ამ ხუთსულიან ოჯახს აქვს სახლი, რქოსანი პირუტყვი 2 სული, ხნავს ორდღიურ მიწას, იღებს 20 კოდ პურს, ხვნა-თესვითა და დალაქობით აქვს სარჩო.

აზნაურ იოთამ ლიპარტიშვილის გლეხები

1. ივანე გოგალაძე, მისი ცოლი, ვაჟები: პეტრე, ბეჟანი და სიმონი, პეტრეს ცოლი, ვაჟი გიორგი. ამ ექვსსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს თავად ციციანოვის ოთხდღიურ მიწას, აგროვებს 60 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 6 სული, ხვნა-თესვით იღებს საკმაო წლიურ სარჩოს.

შენიშვნა: ეს სოფელი გაშენებულია მდინარე მტკვრის ახლოს, ე.წ.მდინარე ხცისურაზე, წყალი საკმარისია, მიწები ეკუთვნის თავად ელიზბარ ერისთავს და მის ბიძაშვილებს. ვარგისია 700 დღიური, მწირი-300 დღიური, ტყე სავარაუდოდ -00 დღიური--საკმარისია--- და სხვადასხვა საჭიროებისათვ------- -ეკუთვნის იმავე ციციანოვებს, მცხოვრებთა მთავარი საქმიანობაა ხვნა-თესვა და მესაქონლეობა.

წინა აღწერითამ სოფელში ნაჩვენები არ იყო(სანახავია დედანთან----დ.ხ.)

სოფელ წრომში

აზნაურ ალექსიძეების ყოფილი გლეხები, რომლებიც ახლა ეკუთვნიან მის შვილიშვილს თომა ალექსიძეს, რომლებიც გადმოსახლებულები არიან სამწევრისიდან, სადაც არიან აღნიშნულები წინა აღწერით

1. სოსია მურჯიკნელი, მისი ცოლი, 2 ქალიშვილი, მასთან ერთ ოჯახში ძმები: ივანე, ტეტუა, ბერუა, ბეჟანი და თედორე. ივანეს ცოლი, ვაჟი პავლე, ქალიშვილი, ტეტიას ყავს ცოლი, ვაჟი ანდრო, 2 ქალიშვილი, ბეჟანის ცოლი და ქალიშვილი, ვაჟი გიორგი, თედორეს ცოლი. ამ 20 სულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს თავად ციციანოვის 10დღიურ მიწას ღალაზე, იღებს 150 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 11 სული, 1 ცხენი, 20 ცხვარი, 8 სკა ფუტკარი, ხვნა- თესვით იღებს წლიურ სარჩოს.

2. ტეტია მიქელაშვილი, მისი ცოლი, ვაჟები; გიორგი და სიმონი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმები: ნინია და თევდორე, ნინიას ცოლი, მათთან ოჯახში ჯავახეთიდან გადმოსული 22 წელს ბეჟან მარჯანაძე, მას ყავს ცოლი და ქალიშვილი, ვაჟი გლახა.

ამ 11 სულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს 15დღიურ მიწას, იღებს 200 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 20 სული, 2 ცხენი, 5 სკა ფუტკარი, ხვნა-თესვით აქვს საკმარისი სარჩო.

3. ბერუა ლანბიაშვილი (?), მისი ცოლი, მასთაn ერთ ოჯახში მისი ძმა გიორგი, მისი ცოლი, ვაჟი დავითი, ქალიშვილი. ამ ექვსსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ოთხდღიურ მიწას, იღებს 40 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 10 სული, 1 ცხენი, ხვნა-თესვით და სხვა სამუშაოებით აქვს სარჩო.

4. პეტრე მურჯიკნელი, მისი ცოლი, ვაჟები: გლახა და პავლე. ამ ოთხსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს სამდღიურ მიწას, იღებს 35 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 5 სული, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვს სარჩო.

5. პეტრე მურჯიკნელი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა თედორე. ამ ორსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ოთხდღიურ მიწას, იღებს 50 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 7 სული, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვს სარჩო.

6. ილარიონ ჩუტკერაშვილი, მისი ცოლი, ქალიშვილი, ვაჟი გიორგი, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა გიგოლა, მისი ცოლი, ვაჟი პავლე. ამ შვიდსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს რვადღიურ მიწას, იღებს 100კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 10 სული, ხვნა-თესვით იღებს წლიურ სარჩოს.

7. შიო ჩუტკერაშვილი, მისი ცოლი, ვაჟები: გიორგი, პეტრე და პავლე, ძმა სიმონი, მისი ცოლი, ვაჟი გიორგი, დედა. ამ ცხრასულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს 14 დღიურ მიწას, იღებს 160 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი15 სული, ცხვარი 10, ხვნა-თესვით აქვს წლიური სარჩო.

8. ტეტია გიორგიაშვილი, მისი ცოლი, ვაჟები: გიორგი და კიკოლა, 2 ქალიშვილი. ამ ექვსსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ოთხდღიურ საბატონო მიწას, იღებს 50 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 5 სული, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვს სარჩო.

9. გლახა გიორგიაშვილი, მისი ცოლი და შვილი, ძმისშვილი გიორგი, ტეტიას დედა. ამ ხუთსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს სამდღიურ საბატონო მიწას, იღებს 40 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 3 სული, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვს სარჩო.

10. ბერო გიორგიაშვილი, უცოლო, მასთან ერთ ოჯახში მისი ძმა სიმონი, მათ ჰყავთ დედა. ამ სამსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს რვადღიურ მიწას, იღებს 100 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 12 სული, ხვნა-თესვით იღებს წლიურ სარჩოს.

11. პაატა ბერაძე, მისი ცოლი, ვაჟები: სიმონი და დავითი, ძმისშვილი მახარე. ამ ხუთსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს რვადღიურ მიწას, იღებს 60 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 6 სული, ხვნა-თესვითა და სხვა სამუშაოებით აქვს სარჩო.

12. ივანე ჩუბინიძე, მას ყავს ცოლი და ქალიშვილი. ამ სამსულიან ოჯახს აქვს სახლი,-------

რქოსანი პირუტყვი 2 სული, სხვადასხვა დღიური სამუშაოებით აქვს შემოსავალი.

თავად ევსტათე ციციანოვის გლეხი, რომელიც არ იყო ნაჩვენები წინა აღწერით

1. გიორგი მჭედლიშვილი, მასთან ერთ ოჯახში მისი ვაჟი გიგოლა, დედა. ამ სამსულიან ოჯახს აქვს სახლი, ხნავს ორდღიურ მიწას, იღებს 30 კოდ პურს, რქოსანი პირუტყვი 3 სული, საიდანაც აქვს სარჩო.

დალი ხაჩიძე

(გაგრძელება იქნება)

ნინო სუხიაშვილი- ამერიკული გამოცდილება ჩემს შემდგომ საქმიანობაში დიდ როლს ითამაშებს...

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილების ხელმძღვანელი ნინო სუხიაშვილი ახლახანს დაბრუნდა ამერიკის შეერთებული შტატებიდან, სადაც სამი კვირის განმავლობაში, ჰუბერტ ჰამფრის მოკლევადიანი სასწავლო პროგრამის ფარგლებში, სალექციო კურსი გაიარა ვაშინგტონის უნივერსიტეტში, ქალაქ სიეტლში. ნინო სუხიაშვილი ამერიკულ შთაბეჭდილებებსა და ძალიან საინტერესო სასწავლო გამოცდილებებს გვიზიარებს.

■ **ეს იყო ამერიკის საელჩოს ჰუბერტ ჰამფრის პროგრამა, რომელიც ითვალისწინებს იმ პროფესიონალების მიწვევას ამერიკის შეერთებულ შტატებში, რომლებიც არიან პროფესიული კარიერის საშუალო საფეხურზე. მიზნად ისახავს მათ ხელშეწყობას, განვითარებას, რომ უფრო მეტის გაკეთება შეძლონ იმ სამსახურებოსთვის**, სადაც ისინი მუშაობენ და ან, ზოგადად, განვი**თარდნენ პროფესიული კარიერის გზაზე. ჩვენი პროგრამა იყო საჯარო ადმინისტრირების და კონკრეტულად ეხებოდა მედიისა და ინფორმატიკის საკითხებს. მოიცავდა სალექციო კურსს ვაშინგტონის უნივერსიტეტში და ასევე პრაქტიკულ კურსს, სტაჟირებას სხვადასხვა დაწესებულებებში**, როგორიცაა სახელმწიფო დეპარტამენტი, საერთაშორისო განათლების ინსტიტუტი, ატლანტიკური საბჭო და სხვა ორგანიზაციები. **პროგრამის** 13 მონაწილე იყო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან, საქართველოს მე წარმოვადგენდი მხოლოდ. **პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი ყველა ადამიანი, საჯარო მოხელე გახლდათ**. ანუ, **ეს იყო საჯარო მოხელეებისათვის განკუთვნილი პროგრამა**, სადაც **ძირითადად პოსტ საბჭოთა ქვეყნების წარმომადგენლობა შეიკრიბა. იყვნენ ესტონეთის, ჩეხეთის, უზბეკეთის, უკრაინის, ლიეტუვას**, ლატვიის წარმომადგენლები...

სასწავლო პროგრამის ოფიციალური დასასრულის ღონისძიება სახელმწიფო დეპარტამენტში

მონაწილეთა შერჩევის საკონკურსო ეტაპები

■ **მონაწილეების შერჩევა მოხდა კონკურსის საფუძველზე. მე შევიტანე ჰუბერტ ჰამფრის გრძელვადიან პროგრამაზე განაცხადი**, თუმცა, **გრძლვადიანი პროგრამის ფარგლებში არ მომიწია გამგზავრება და თვითონ შემომთავაზეს, გამგზავრებულიყავი მოკლევადიანი პროგრამით, რომელიც სრულად დაფინანსებული იყო ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ. ჩვენი ვიზიტი ამერიკაში, იქ ცხოვრება, სწავლა, შიდა გადაადგილება, მგზავრობა, აბსოლუტურად ყველაფერი დაფინანსდა სწორედ ამერიკის სახემწიფო დეპარტამენტის მიერ.**

სასწავლო პროგრამის შესახებ...

■ **სწავლების კურსი მიმდინარეობდა ვაშინგტონის უნივერსიტეტში. ამერიკაში ორი ვაშინგტონის უნივერსიტეტია**. ერთი ვაშინგტონის შტატში, ქალაქ სიეტლში და მეორე **კოლუმბიის ოლქში, ქალაქ ვაშინგტონში. ჩვენ ვიყავით სიეტლში, ვაშინგტონის შტატში და ეს არის ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი უნივერსიტეტი აშშ-ში, სადაც ვითვლებოდით სტუდენტებად და გავიარეთ სალექციო კურსი.**

■ **სალექციო კურსს რაც შეეხება, ეს იყო ძალიან კვალიფიციური პროფესორების მიერ წარმოდგენილი სასწავლო კურსი, რომელიც მედიისა და ინფორმაციის საკითხებს მოიცავდა**. კონკრეტულად, ეს გახლდათ მედია წიგნიერების საკითხები. მოგეხსენებათ, **დღეს მედიაწიგნიერება ძალიან მნიშვნელოვანია. თანამედროვე ტექნოლოგიების განვითარებამ ფართო ასპარეზი შექმნა ნებისმიერი ინფორმაციის გავრცელებისთვის და აქ ცხადია მოიაზრება დეზინფორმაცია, პროპაგანდა, მათ შორის**, ბუნებრივია, **ჩვენ ქვეყანასაც და ამერიკის შეერთებულ შტატებსაც აქვს მსგავსი პრობლემები. და სწორედ ერთობლივი მსჯელობისას გვქონდა მცდელობა**, რაღაც დასკვნებამდე მივსულიყავით, რაღაც ერთობლივი სტრატეგია შეგვემუშავებინა. იყვნენ **ადამიანები, რომლებსაც ბევრი აქვთ ნამუშევარი ამ კუთხით, აქვთ კვლევები. მათ შორის კვლევები პოსტ საბჭოთა სივრცეზე, კონკრეტულად საქართველოზე. მე შევხვდი პროფესიონალებს**, რომლებიც სრულყოფილად ფლობდნენ ინფორმაციას თუ რა **ნარატივები**, რა კონსპირაციის თეორიები ვრცელდება **საქართველოში**, რომელიც ჩვენთვისაც ძალიან ნაცნობია. **ისინი თვლიდნენ, რომ იქ წარმოდგენილი თვითოეული ჩვენგანის გამოცდილება უნიკალური და მნიშვნელოვანია იმ გზების დასახვისათვის, რა შეიძლება ჩვენ დავუპირისპიროთ მსგავს ნარატივებს არა მხოლოდ კონკრეტული ქვეყნების მიხედვით, არამედ გლობალურად. ქვეყნების თავისებურებების გათვალისწინებით**. თუმცა, **ზოგადი ჩარჩო, როგორც ჩვენ დავინახეთ იქ, არის დაახლოებით ერთნაირი.**

მედიაწიგნიერების ჭრილში განხილული სალექციო თემები...

■ **მაგალითად, კოვიდ** 19 - **თან დაკავშირებული კონსპირაციის თეორიები და მითები, რაც უკავშირდება დავუშვათ ჩიპის ჩადგმას ორგანიზმში. რომ აცრა იწვევს უშვილობას, რომ აცრილი ადამიანი რამდენიმე ხნის განმავლობაში დაიღუპება. .. ასეთი თეორიები ვრცელდება, არა მარტო საქართველოში. იგივე შინაარსის თეორიები ვრცელდება უკრაინაში, უზბეკეთში, ყირგიზეთში, ჩეხეთში, ბალტიისპირეთის ქვეყნებში, აშშ-ში... ეს უფრო გაძლიერებს შენ, როცა იცი, რომ მარტო შენ არ ხარ კონსპირაციული თეორიების სამიზნე. ამის სამიზნე არის სხვა ხალხიც, რომლებიც თავის მხრივ ცდილობენ, გარკვეული ღონისძიებები გაატარონ ამ მიმართულებით და შენც რომ ჩაერთვები ამ ყველაფერში, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი.**

შეხვედრები...

■ **მინდა ვთქვა, რომ ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტში მქონდა ძალიან მნიშვნელოვანი შეხვედრა, სადაც იყო საუბარი, შეკითხვები, ინფორმაცია გავრცელებასთან დაკავშირებით. მათ შორის აკრძალვებსა და შეზღუდვებზე. თუმცა მე ძალიან მენიშნა, რომ ისინი არ იზიარებენ გარკვეული სახის ინფორმაციის გავრცელებაზე შეზღუდვების დაწესების შესაძლებლობას. მიდგომა ასეთია: როგორც არ უნდა შეზღუდო კანონით ინფორმაციის გავრცელება, ინფორმაცია მაინც ვრცელდება, ამიტომ უმჯობესია, რომ ჩვენ ვიმუშაოთ იმაზე, თუ როგორ მივაწვდინოთ მართალი სიტყვა და რეალური ფაქტები ადამიანებს. ამ მიმართულებით როგორ გავძლიერდეთ და**

არა, ის რომ რაღაცა შევზღუდოთ. ინფორმაცია მაინც გავრცელდება. ინფორმაცია ვრცელდებოდა ადრეც სხვადასხვა გზით, როცა არ იყო ეს ტექნოლოგიები, და ვრცელდება, ბუნებრივია, ახლა, უფრო მარტივად და ყოვლისმომცველად.

■ **განვიხილეთ არჩევნებთან დაკავშირებული კონსპირაციები. ჩემთვის საინტერესოა თეორია: როდესაც შემოხაზავ კანდიდატს, მერე წაიშლება კალმით ნაწერი. ასეთი კონსპირაციის თეორია 2020 წლის ამერიკის არჩევნებზეც ძალიან აქტიურად განიხილებოდა**. თუ გამოიყენებდი კომპანია „შარპის“ კალამს საარჩევნო უბნებზე, იქ წარმოიქმნებოდა პრობლემები, წაიშლებოდა ამომრჩევლის მიერ **დაფიქსირებული არჩევანი**.

■ **განსხვავებული რაც ვნახე არჩევნებთან დაკავშირებით, ეს არის თვითონ ვაშინგტონის შტატში, სადაც არჩევნები არა უბნებზე არამედ, მხოლოდ და მხოლოდ ფოსტის მეშვეობით ტარდება და ხმების დათვლა მიმდინარეოს ელექტრონულად. შტატებში არსებული რეალობისთვიოს**, ეს ცალსახად გამართლებულია. მე **რაც მომეწონა მათ მიდგომებში, არის ის, რომ არ არსებობს იდეალური სისტემა, არ არსებოს სისტემა, რომელიც 100 პროცენტით იქნება გამართლებული. უბრალოდ, ცდილობენ, მოცემული რეალობისთვის მაქსიმალურად უკეთესი მექანიზმი შეიმუშაონ, მოარგონ მოცემულობას, იდეალურს. დადებითია, რომ ასეთი სისიტემით ჩატარებული არჩევნები საშუალებას აძლევს იმ ადამიანებს, რომლებიც არიან შეიარაღებულ ძალებში, ან საზღვარგარეთ და ა. შ. დააფიქსირონ არჩევანი. საქართველოში რამდენად იმუშავებს, ეს ცალკე საკითხია**, რადგან ჩვენი **რალობისთვის მსგავსი სისტემით ჩატარებული არჩევნები ამ ეტაპზე ნაადრევია.** ...

■ **გარდსა ამისა, „მაიკროსოფტის“ გუნდმა ჩაატარა სესიები. ეს იყო სწორედ მედიაწიგნიერებაზე**, ეს იყო ეკოლოგიურ ინფორმაციაზე. აქ იგულისხმება არა ინფორმაცია ეკოლოგიის შესახებ, არამედ ინფორმაცია, რომელიც არ არის

ჰამფრის პროგრამის 2021 წლის გუნდი ვაშინგტონის უნივერსიტეტში.

დაბინძურებული დეზინფორმაციით, სანდო ინფორმაციაა, **საინტერესო იყო, თუ როგორ უნდა ამოვიცნოთ სწორი ინფორმაცია, რა ნიშნები არსებოს ამისთვის, მათ შორის რა მანიპულაციის მეთოდები არსებობს საამისოდ, როგორ შეიძლება ფოტომასალის დამუშავება... იყო საუბარი ფეისბუქის ახალ მეტა პლატფორმაზე, რომელიც ფართო შესაძლებლობებს ქმნის... ნებისმიერ შემთხვევაში**, ყველაფერს აქვს დადებითი და **უარყოფითი მხარე, მათ შორის მეტა პლატფორმასაც**. აქ იყო აქცენტი იმაზე, რომ ჩვენ რაც შეიძლება ნაკლებად დავზარალდეთ ტექნოლოგიების განვითარების პირობებში, როდესაც გამოსახულების სრულყოფაც კი შესაძლებელია...

შეხვედრა სახელმწიფო დეპარტამენტში...

■ **სალექციო კურსის დასრულების შემდეგ, გადმოვინაცლეთ დედაქალაქში. ვაშინგტონში გვქონდა ძალიან საინტერესო შხვედრები სახელმწიფო დეპარტამენტში, საერთაშორისო განათლების ინსტიტუტში, სადაც ასევე ვიმსჯელეთ, როგორი უნდა იყოს სტრატეგიული კომუნიკაცია, როგორ უნდა ვრცელდებოდეს სანდო ინფორმაცია, რა მნიშვნელობა აქვს კოორდინაციას სხვადასხვა უწყებებს შორის კრიზოსების დროს... ჩვენ ვიყავით კრიზისების მართვის**

(დასასრული V გვერდზე)

ნინო სუხიაშვილი- ამერიკული გამოცდილება ჩემს შემდგომ საქმიანობაში დიდ როლს ითამაშებს...

(დასასრული)

ფედერალურ სამსახურში, რომელიც ყველა შტატს მოიცავს. მართალია შტატებს განსხვავებული კანონმდებლობა აქვთ, მაგრამ ძირითადი მიდგომა არის ერთი და შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანი იყო ეს შეხვედრა.

საერთაშორისო სტუდენტური მხარდაჭერის კლუბი. ვაშინგტონის უნივერსიტეტი.

შეხვედრა ევროატლანტიკურ საბჭოში...

■ ევროატლანტიკურ საბჭოშიც დეზინფორმაცია იყო საუბარის მთავარი თემა, მათ შორის საქართველოს მიმართულებითაც. თუ რა ნარატივები ვრცელდება საქართველოში. , როგორ მუშაობს რუსული დეზინფორმაცია და პროპაგანდა საქართველოში. მქონდა ცალკე შეხვედრა ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტში საქართველოზე მომუშავე ჯგუფთან. ერთმანეთს გავუზიარეთ ინფორმაცია... ვინაიდან ეს იყო სასწავლო პროგრამა, არ იყო გათვალისწინებული რომელიმე ქვეყანას პრეზენტაცია გაეკეთებინა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე. თუმცა ნებისმიერი იქ გამართული დიალოგი, მოიცავდა პროგრამის ფარგლებში წარმოდგენილი ქვეყნების მონაწილეთა მიერ გამოცდილების გაზიარებას იმ კონკრეტული მიმართულებით, რასაც დიალოგის თემა ითვალისწინებდა და არაერთხელ, ნებისმიერი საუბრისა და სესიის დროს მქონდა შესაძლებლობა წარმომედგინა ჩემი ქვეყანა, თუ რა კეთდება, რა პრობლემებია, რა წარმატებებია, რა პროცესები მიმდინარეობს ზოგადად ქვეყანაში... გარდა ამისა, ცალკე განხორციელდა საქართველოზე მომუშავე ჯგუფთან შეხვედრა, სადაც კიდევ უფრო მეტი ინფორმაციის მიწოდების შესაძლებლობა მომეცა საქართველოში არსებული მდგომარეობის შესახებ. საბოლოოდ, კურსის დასასრულს, სახელმწიფო დეპარტამენტისგან გადმომეცა შესაბამისი სერთიფიკატი ამ ძალიან მნიშვნელოვანი პროგრამის გავლის დასტურად.

რა გაგრძელება შეიძლება ჰქონდეს სასწავლო ვიზიტს ამერიკაში ჩვენი ქალაქისათვის.

■ პირველი, პროგრამის მონაწილეებს ვალდებულებაც გვაქვს რომ ამ მიმართულებით ვიმუშაოთ. ბუნებრივია, მე ჩამოვიტანე მეტი ცოდნა მედიაწიგნიერების მიმართულებით. ამერიკაში გამგზავრებამდეც ვმართავდით შეხვედრებს სოფლის მოსახლეობასთან, მათ შორის ევროატლანტიკურ ინტეგრაციაზე, რა მითები არსებობს ნატოსა და ევროკავშირის შესახებ და ვცდილობდით, რომ ეს მითები დაგვენგრია. ამ ეტაპზე კიდევ უფრო მეტი ცოდნა მაქვს ბუნებრივია და შევეცდები, რომ ამ მიმართულებით ვიმუშაოთ. გარდა ამისა, შეხვედრები იგეგმება მედიაწიგნიერებაზე ახალგაზრდებთანაც, რომელთა განათლებაც ძალიან მნიშვნელოვანია. ასე რომ საქმე ბევრი გვქვს... ეს არ არის ტრენინგი ტრენინგისათვის, ეს არის იმისათვის რომ რეალურად საქმიანობაში აისახოს მიღებული ცოდნა და გამოცდილება და ეს არის პროგრამის ერთ- ერთი მოთხოვნაც ამავე დროს... ამ ეტაპზე კონკრეტულად რა ღონისძიებები დაიგეგმება, მუშაობის პროცესშია, თუმცა, პირველი ნაბიჯი ჩემი იყო ბლოგის გამოქვეყნება ამერიკულ საარჩევნო სისტემაზე, რაც გაგრძელდება და ასევე მექნება ერთ-ერთი პირველი შეხვედრა ბიბლიოთეკაში ნებისმიერი დაინტერესებულისათვის ამერიკულ გამოცდილებაზე, შემდეგ კი მედიაწიგნიერების პროგრამის ფარგლებშიც დაიგეგმება შეხვედრები... გაგრძელდება შეხვედრები სოფლის მომსახლეობასთან ევროატლანტიკური ორგანიზაციების შესახებ არსებული მითების უარყოფის შესახებ....

ამერიკული სასწავლო პროგრამის კულტურული ნაწილი....

■ პროგრამამ მოგვცა შესაძლებლობა, რომ კულტურული ნაწილიც ჩვენთვის ყოფილიყო ამერიკული გამოცდილების მიღების საშუალება. ჩვენი ინტერესების გათვალისწინებით, მასპინძლების რჩევით დავგეგმეთ რა უნდა გვენახა... რაც ძალიან მომეწონა, არის ის,რომ ვაშინგტონში ყველა ძირითადი მუზეუმი ნებისმიერი დამთვალიერებელისათვის არის უფასო, გეძლევა შესაძლებლობა მსოფლიო კულტურის შედევრები, როგორიც არის პიკასო, მოდილიანი, მატისი, ფრიდა კალო

ვაშინგტონის უნივერსიტეტის დიპლომირებული გუნდი

და სხვა მრავალი ავტორი ნახო სრულიად უფასოდ. მუზეულმი უამრავია. არის კოსმოსური მიღწევების მუზეუმი, ამერიკის ისტორიის მუზეუმი და ასე შემდეგ... რაც ჩემი შთაბეჭდილებით, ამ ქვეყნის ძალას და ძლიერებას უსვამს ხაზს.

ერთი რამ, რასაც წამოიღებდი ამერიკული გამოცდილებიდან...

■ მე უფრო პერსონალურ გამოცდილებას გავუსვამდი ხაზს... ყველაზე მნიშვნელოვანი,რაცმეწამოვიღეამერიკიდან,არისსაქმისმიმართდამოკიდებულება, რაც ვიცოდი, მაგრამ საკუთარი თვალით ნანახი მეტად შთამბეჭდავია... საქმის მიმართ დამოკიდებულება არის სრულიად განსხვავებული იმისაგან, რაც მე მინახავს ჩვენთან და თუნდაც ევროპის ქვეყნებში... ადამიანები არ ეძებენ სრულყოფილებას, გაცნობიერებული აქვთ, რომ ამის მიღწევა შეუძლებელია. არ ამბობენ უარს საქმის კეთებაზე იმის გამო, რომ სრულყოფილად არ გამოუვათ, რაც ნიშვნელოვანია, რადგან უმჯობესია გააკეთო, ვიდრე უარი თქვა საქმის შესრულებაზე... და მეორე, რაც მნიშვნელოვანია, იხარჯებიან ბოლომდე და ბოლოს ... განსხვავებული ჩვენგან არის ის, რომ ადამიანები მინიმალურად არიან დამოკიდებული სახელმწიფოზე, ცდილობენ საკუთარ უნარებზე, განათლებაზე, გამოცდილებაზე დაყრდნობით მიიქციონ ყურადღება და არ ითხოვენ სხვისგან მაქსიმუმს... ამას აქვს დადებითი და უარყოფითი მახარეებიც, მაგრამ ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი სხვაობა, რაც, ვფიქრობ, ამ ქვეყნის ძლიერებასაც განაპირობებს.

თეა ახალკაცი

ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამში, ე. წ. „ლაგერის“ ტერიტორიაზე, გარე გამოყენების ტრენაჟორები მოეწყო

აღნიშნული პროექტი სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში, მოსახლეობის ინტერესებიდან გამომდინარე განხორციელდა.

მუნიციპალიტეტში, ფიტნესზონებისა და სპორტული სივრცეების მოწყობა აქტიურად მიმდინარეობს. ბოლო წლების განმავლობაში, ხაშურის მუნიციპალიტეტში, არაერთი მინი სტადიონი მოეწყო, აშენდა სპორტული კომპლექსი, მიმდინარეობს და სულ მალე დასრულდება, ცენტრალური– „ივერიის“ სტადიონის მშენებლობა.

მსგავსი პროექტების განხორციელება და სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება, სპორტში, მოსახლეობის მასობრივ ჩართულობას უწყობს ხელს.

ტენდენცია, კვლავაც, აქტიურად გაგრძელდება.

- ფეხბურთი -

ხაშურის გუნდი შიდა ქართლის ჩემპიონია

ამ დღეებში, დასრულდა „7 x 7 - ზე ფეხბურთის ასოციაციის“ ეგიდით გამართული რეგიონული ტურნირი ფეხბურთში მოყვარულ სპორტსმენებს შორის. ტურნირში, რომელიც „მასტერქაფის“ სახელითაა ცნობილი, მონაწილეობას იღებდა ხაშურის „დურუ“, რომელმაც მანამდე მუნიციპალური შეჯიბრი მოიგო და უფლება მოიპოვა შემდგომ ეტაპზე ეასპარეზა. რეგიონალურ ტურნირში, „დურუს“ გარდა, ქარელის, გორის და კასპის გუნდები იღებდნენ მონაწილეობას. ნახევარფინალში, დაძაბულ ბრძოლაში, ხაშურელებმა კასპის გუნდს სძლიეს 3:2, ფინალში კი ქარელის „იბერიასთან“ 5:2 იმარჯვეს და რეგიონის ჩემპიონებიც გახდნენ, ამ გამარჯვებით „დურუმ“ საქართველოს ჩემპიონატში თამაშის უფლება მოიპოვა, სადაც სხვადასხვა რეგიონებში გამარჯვებულ გუნდებს თბილისის კლუბები დაემატნენ. ჩემპიონატში 16 გუნდი მონაწილეობს და ტურნირი ე.წ. პლეიოფის სისტემით გაიმართება. მერვედფინალურ შეხვედრას „დურუ“ უახლოეს დღეებში გამართავს და იმედია, თავს არც აქ შეირცხვენს.

წარმატებები ჩვენს სპორტსმენებს!

- ბერძნულ-რომაული ჭიდაობა -

ერთი ჩემპიონი, სამი პრიზიორი

ამ დღეებში, ხაშურში, დასრულდა ნიკოლოზ ხვედელიძისა და ვასო ჩოჩაშვილის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი ბერძნულ-რომაულ ჭიდაობაში. ტურნირი საკმაოდ წარმომადგენლობითი იყო და მასში საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ათეულობით

სპორტსმენი იღებდა მონაწილეობას. ტურნირი ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის და სასპორტო სკოლის ორგანიზებით გაიმართა და კოვიდრეგულაციების სრული დაცვით ჩატარდა. აღნიშნულ შეჯიბრში

ხაშურელი სპორტსმენების შედეგები ასეთია: ტურნირის ჩემპიონი ნიკა კაპანაძე გახდა (44კგ.). ვერცხლის მედალს საბა ჩალაშვილი დაეუფლა (80 კგ). მესამე ადგილები კი ზაზა გელაშვილმა და მიხეილ ქართველიშვილმა მოიპოვეს.

ჩვენი სპორტსმენები ახლა საქართველოს ჩემპიონატისთვის ემზადებიან და იმედია, მათი არსებობა იქაც წარმატებული იქნება.

- თავისუფალი ჭიდაობა -

ლევან ნოზაძე რესპუბლიკური ტურნირის გამარჯვებულია

ამ დღეებში, კასპში, დასრულდა საქართველოს დამსახურებული მწვრთნელის ილო ილურიძის სახელობის რესპუბლიკური ტურნირი

თავისუფალ ჭიდაობაში, რომელშიც 2007 -2008 წლებში დაბადებული მოზარდები იღებდნენ მონაწილეობას. ტურნირში წარმატებით იასპარეზეს ჩვენი სასპორტო სკოლის წარგზავნილებმა (მწვრთნელები ვახტანგ და გიორგი კვინიკაძეები): ლევან ნოზაძე (35 კგ.) ჩემპიონი გახდა, ნიკა ნოზაძემ (32 კგ), გიორგი თედეშვილმა (60 კგ,) და ნიკოლოზ ნოზაძემ კი ბრინჯაოს მედლები მოიპოვეს. როგორც ჩვენთან საუბარში მათმა მწვრთნელმა გიორგი კვინიკაძემ განაცხადა, ამ ბავშვებს დიდი პოტენციალი გააჩნიათ და იმედი გამოთქვა, რომ მომავალში ისინი კიდევ ბევრჯერ ასახელებენ ხაშურს.

ხაშურში, გაგარინის ქუჩაზე და „ემტეესის“ დასახლებებში, საბავშვო ატრაქციონები მოეწყო

ორივე ლოკაციაზე დაიგო კაუჩუკის ფილები, განთავსდა კომბინირებული სასრიალოები, საქანელები და ატრაქციონები, დაიდგა სკამები, სანაგვე ურნები და მოეწყო სივრცე, სადაც პატარებს გართობის შესაძლებლობა ექნებათ.

აღნიშნული პროექტები, ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესების გათვალისწინებით განხორციელდა, რადგან გაგარინის ქუჩაც და ე.წ. „ემტეესიც“ მჭიდრო დასახლებებია და უბნებში ბევრი ბავშვია.

სამუშაოები, მთლიანად, ადგილობრივმა ბიუჯეტმა დააფინანსა და ღირებულებამ 41 984 .ლარი შეადგინა.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.